ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი

კომისიის წევრი - ანა ლორია

კომისიის წევრი - ანა ხურციძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 09.11.202

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 006/20

I შეკითხვა:

ადვოკატი წარმოადგენს კომპანიას კონტრაქტორების წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების საქმეზე (საქმე N1). კონტრაქტორები კომპანიის ოთხ პარტნიორთან დაკავშირებული იურიდიული პირები არიან. ამავდროულად, ადვოკატი წარმოადგენს ამ კომპანიის ორ პარტნიორს (კომპანიას ჰყავს 6 პარტნიორი), საქმეზე, რომლითაც ხსენებული ორი პარტნიორი ითხოვს დანარჩენი ოთხი პარტნიორის გარიცხვას კომპანიიდან (საქმე N2).

ზემოაღნიშნულმა ოთხმა პარტნიორმა მოიწვია კრება და მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდების განაწილების შესახებ. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალა კომპანიას/დირექტორს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება 2 პარტნიორი (აღნიშნული 2 პარტნიორიდან ერთ-ერთი არის კომპანიის მოქმედი დირექტორი), რომლებმაც გაასაჩივრეს დივიდენდის განაწილების შესახებ მიღებული კრების ოქმი სასამართლოში.

უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კრების ოქმის გასაჩივრების დროს, მოპასუხე არის კომპანია. შესაბამისად, აღნიშნულმა 2-მა პარტნიორმა სარჩელი წარადგინა კომპანიის წინააღმდეგ. თუმცა რეალურად დავა არის პარტნიორებს შორის, კერძოდ, კომპანიის ოთხი პარტნიორის წინააღმდეგ, რომლებიც ანაწილებენ დივიდენდს. კომპანია მოპასუხედ სახელდება მხოლოდ პრაქტიკით დადგენილი ფორმალური მოთხოვნის გამო. კომპანიის ინტერესები კრების ოქმის ბათილობით არ ილახება, პირიქით, დივიდენდის დაკისრების შემთხვევაში კომპანიის ძირითადი საშუალებები შეიძლება გასხვისდეს და საერთოდ გაკოტრებამდე მივიდეს კომპანია (საქმე N3).

ოთხმა პარტნიორმა აგრეთვე აღძრა სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ, მათ მიერ მიღებული კრების ოქმის საფუძველზე დივიდენდის განაწილების შესახებ (საქმე N4).

საქმე N3 და საქმე N4 გაერთიანდა ერთ წარმოებად.

1. სახეზე არის თუ არა ინტერესთა კონფლიქტი N3 დავაზე, იმ პირობებში როდესაც კომპანია მოპასუხედ ფორმალური/პროცესუალური მოთხოვნიდან გამომდინარე არის ჩართული?
2. შეუძლია თუ არა ადვოკატს გააგრძელოს კომპანიის ინტერესების დაცვა N4 საქმეზე წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით (აღნიშნული დავა გაერთიანდა N3 საქმესთან) იმ პირობებში, თუ N3 საქმეზე 4 პარტნიორი დანიშნავს კომპანიის დამოუკიდებელ წარმომადგენელს, რომელიც დაიცავს კომპანიის ინტერესებს მხოლოდ N3 საქმეზე?
3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი რეკომენდაცია იქნება, რომ ადვოკატმა არ განახორციელოს წარმომადგენლობა N3 ან/და N4 საქმეებზე, შეუძლია თუ არა ადვოკატს განაგრძოს წარმომადგენლობა N1 და N2 საქმეებზე?

II ანალიზი:

ადვოკატის შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები შესაფასებელია ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.2.ა).

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრა:

ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების დადგენა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადვოკატის დამოუკიდებლობასა და/ან პროფესიულ ვალდებულებებზე, მაგალითისათვის სხვა კლიენტის/პოტენციური კლიენტის მიმართ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვაზე, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობაზე და სხვა ეთიკურ ვალდებულებებზე.

ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის წყაროები განსაზღვრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ რეკომენდაციაში, სადაც მიუთითა, რომ „ინტერესთა

კონფლიქტი და მისი წარმოქმნის საფრთხე შესაძლებელია არსებობდეს: (1) ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის; (2) ადვოკატსა და კლიენტს შორის; (3) ადვოკატის ყოფილ კლიენტსა და ამჟამინდელ და/ან პოტენციურ კლიენტს შორის; და (4) ადვოკატის კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც დაკავშირებულია ადვოკატის ინტერესები" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 30.06.2020 წლის წერილობითი რეკომენდაცია #003/20).

ეთიკის კომისიამ ინტერესთა კონფლიქტის დროს არსებული სამი კლიენტიდან ერთ-ერთის წარმომადგენლობის გაგრძელების აკრძალვის თაობაზე განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია ადვოკატმა თავი აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთის ინტერესი... ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 24.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #015/10).

ეთიკის კომისიამ საქმეთა ურთიერთდაკავშირების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეაფასა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა: „ადვოკატი თავდაპირველად წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და მისთვის ცნობილი იყო მისი პოზიცია, არგუმენტები და მტკიცებულებები. შემდეგში, ადვოკატი წარმოადგენდა სხვა კლიენტს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლებრივ დავაში, რომელიც შინაარსობრივად და საგნობრივად ურთიერთდაკავშირებული იყო. ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობდა ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ დააყენებდა ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 09.06.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #092/10).

„საფრთხის კვლევის ვალდებულება აკისრია ადვოკატს. ადვოკატის მხრიდან რამდენიმე კლიენტის მომსახურების განხორციელება ასეთი კვლევის ჩატარების გარეშე, იწვევს უარყოფით შედეგს, როგორც ადვოკატისთვის, ასევე მისი კლიენტებისთვის და შესაძლოა, მართლმსაჯულების პროცესისთვის, რადგან ადვოკატი იძულებული ხდება ჩამოშორდეს ყველა კლიენტის წარმომადგენლობას" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 15.04.2020 წლის წერილობითი რეკომენდაცია #002/20).

„ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის დადგენისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ადვოკატი აპირებდა თუ არა კომპანიისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას ამავე კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ. ის გარემოებები, რომ ადვოკატი მომსახურების უწევდა კომპანიას და ამავე კომპანიის საწინააღმდეგოდ ჩაერთო მეორე პარტნიორის წინააღმდეგ დავაში,

წარმოქმნა კლიენტის ინტერესების დაცვასთან შეუთავსებელი ურთიერთობა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.07.20 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #024/19).

მოცემულ შემთხვევაში, პირველი და მეორე საქმე სხვადასხვა დავას ეხება, თუმცა ორივე შემთხვევა დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობასთან. ერთი მხრივ, პირველ შემთხვევაში, ადვოკატი წარმოადგენს კომპანიის (ყველა პარტნიორის) საერთო ინტერესს და მეორე მხრივ, ამავე პარტნიორებს შორის დავაში ერთ-ერთ მხარეს უწევს საადვოკატო მომსახურებას.

შედეგად, კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, როგორც კომპანიის, აგრეთვე, მისი პარტნიორების დავაში ჩართულობით, ამავე ორგანიზაციის სხვა პარტნიორების საწინააღმდეგოდ მოქმედებისას არსებობს ინტერესთა დაპირისპირების საფრთხე კლიენტთა შორის, რაც დაუშვებელს ხდის ასეთი ფორმით ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის განხორციელებას და საფრთხეს უქმნის მათგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას.

მესამე საქმე ადვოკატის ჩართულობით კომპანიის პარტნიორებს შორის დავის გაგრძელებაა. კერძოდ, ადვოკატის კლიენტების ორმა პარტნიორმა დივიდენდების განაწილების შესახებ კრების ოქმი სასამართლოში გაასაჩივრა. შეკითხვაში მითითებული გარემოება, რომ სასამართლოში პარტნიორთა მიერ დავისას მოწინააღმდეგე მხარედ „კომპანია“ მხოლოდ ფორმალურადაა მითითებული და რეალურად დავა დანარჩენი ოთხი პარტნიორის წინააღმდეგაა მიმართული, არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის შემთხვევას. ადვოკატის აღნიშნული მოქმედება წარმოადგენს მისი კლიენტის - კომპანიის წინააღმდეგ დავაში ჩართვას, რომლის საერთო ინტერესს იცავს პირველი საქმიდან გამომდინარე. ამასთან, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად „სასარგებლო“ შეიძლება იყოს ამგვარი წარმომადგენლობა რომელიმე კლიენტის საქმის განვითარებისათვის. ადვოკატის მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლიენტთათვის საადვოკატო მომსახურების ერთდროულად განხორციელებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი ადვოკატის მიერ დამოუკიდებელი სამართლებრივი მომსახურების გაწევა.

შესაბამისად, თავისთავად, ის ფაქტი, რომ პირველი და მეორე საქმის ერთდროულად წარმოებისას ადვოკატის კლიენტთა მიმართ არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე არსებობს ინტერესთა დაპირისპირება კლიენტებს შორის, გამორიცხავს მესამე და მეოთხე საქმეში ადვოკატის ჩართულობას.

კლიენტის ინფორმირებული თანხმობის მიუხედავად ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაუშვებლობა

„როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ, როდესაც სახეზეა მძაფრად

დაპირისპირებული პოზიციები, როგორიც აქვთ სასამართლო პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 27.05.19 წლის წერილობითი რეკომენდაცია #016/18).

ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მოდელური წესებში (წესი 1.7.ა) მითითებულია კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების დაუშვებლობის შემდეგი შემთხვევები, კერძოდ, როდესაც ამგვარი თანხმობით აკრძალულია კლიენტის წარმომადგენლობა: „1. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის წარმომადგენლობა პირდაპირ დააზარალებს მეორე კლიენტს, 2. მნიშვნელოვანი რისკია იმისა, რომ რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა მატერიალურად შეზღუდავს ადვოკატის პასუხისმგებლობას სხვა კლიენტის, ყოფილი კლიენტის, მესამე პირის ან ადვოკატის პირადი ინტერესების მიმართ“ (დამატებით იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 15.04.2020 წლის წერილობითი რეკომენდაცია #002/20).

III დასკვნა:

1. ადვოკატს არ შეუძლია მესამე დავაში მონაწილეობა მისი კლიენტის - კომპანიის წინააღმდეგ ჩართვით, ვინაიდან, ორივე შემთხვევა კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე დავებს ეხება. ამასთან, საფრთხე ექმნება კომპანიისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის მეორე საქმეში მის საწინააღმდეგოდ გამოყენებას და დავების ადვოკატის მიერ დამოუკიდებლად წარმოებას.

2. თავისთავად, მე-3 და მე-4 საქმეების გაერთიანების შემთხვევაში, ადვოკატი ვერ გააგრძელებს კომპანიის ინტერესების წარმოდგენას.

3. ვინაიდან, პირველი და მეორე დავა უკავშირდება კომპანიის საქმიანობას, კომპანიის და შემდგომ პარტნიორებს შორის დავისას ერთ-ერთი მხარის წარმოდგენით ირღვევა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება. შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს აღნიშნულ საქმეებში იურიდიული მომსახურების გაწევისაგან.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/